

3



საკონტინენტო, საევროპულო და სალიზურატურო ნახატებისანი გაზეთი გამოიცის ყოველ კიბე და სა

Nº 50

No 50

ଶିଳ୍ପୀଙ୍କାଳୀବି: ଗୁରୁତ୍ବଶାସନଙ୍କୁ ଦେଖିବାରେ ଏହାକିମ୍ବାକିମ୍ବା ଅଧିକ ପରିଚାରକ ହେଲାମୁଁ ।

რედაქციის ადრესი: არცილერიის ქუჩა № 5, იმის ბირდაბირ, სადაც აწამდის რედაქცია იმყოფებოდა.

№ XI „ՀԱՅՈԼՈՒԿ“ ըամոցութա და დալրուցքեա եղանու թռմթյուրութեա.

8 0 8 0 6 0 6 3 0 3 0.

I.

ანამედროვე კხოვრების ერთი შესანიშნავი
თეისებათაგანია ის, რომ ადამიანი დაუსრულებელ
ფაურა-ფუტში და მოძრაობაშია. მისი კულტურული
მოთხოვნილება დღითი დღე იზრდება და რთულდე-
ბა; ამასთანვე იზრდება და რთულდება მისი მეცა-
დინეობა და მუყაითობა. მისი ასეთი მიღრეკილება
მას ძალას ატანს გაიუმჯობესოს სამოქმედო იარაღ-
ბი, გამოიკონის სხვა-და-სხვა მანქანები, გააპის ოკე-
ანები, შემოიაროს ზღვა და ხმელეთი, აღმოაჩინოს
ახალი ქეყნები—ყველაფერს ხელი შეახოს, ყველა-
ფერი თავის სასარგებლოთ გამოიკენოს. ამ საერთო
მიმდინარეობაში საპატიო ალაგი უჭირავს გადასახლე-
ბასაც. გადასახლება, რამდენათაც ის, საცხოვრებელი
ადგილის გამოცვლაა, არ ახალია, ძველია. ადგილს
იცვლიდენ ასი, ათასი და ათი ათასი წლის წინეთ და
იცვლიან დღესაც. მარა ეს გამოცვლა ყოველ ხანა-
ში და ყოველ ხალხში, სხვა-და-სხვა ნაირათ ხდება.

უფრო ერთ დროს ქართველთა ტომიც საიდან-
ლაც აქ მოვიდა და დაბინავდა, ე. ი. ამ ქვეყანაში
ჩამოსახლდა. უფრო აგრძელებული ისეც, რომ დღეს
სხვა ტომებიც ეტანებიან ამ ქვეყანას და აქა-იქ კი-
დევაც ესახლებიან. მარა ამ ორ ჩამოსახლებას საერ-
თო არა აქვს რა, გრძლა სახელისა, ორივე სრულიად
სხვა-და-სხვა გზით და საშუალებით წარმოებს და ეს
სხვა და სხვანაირობა შეადგენს დახსასიათებას თვი-
თოვეული მათგანისას. გადასახლება თანამედროვე
ურთიერთობას ნაყოფია, თანამედროვე ცხოვრების
ღიძძლი შეილია, თანამედროვეთა მდგომარეობის
გამომატებული და მატარებელია. და რადგანაც თეოთო-
ვეულ ხანას თავისი საკუთარი ურთიერთობა აქვს,
აქვს თავისი საკუთარი გადასახლებაც. ეს კადევ ცა-
ტაა, თეოთოვეულ ხანაში, სხვა-და-სხვა ერთ განვითა-
რებას სხვა-და-სხვა საფეხურზე დგას. და აი, თვი-
თოვეული ამათგანი სხვადასხვანაირათ ესახლება უც-
ხო ქვეყანაში და ისახლებს უცხო ქვეყნელთ. ჩვენი
დროის გადასახლებაც ერთიანათ ჩვენი დროის წე-
ბილებაზეა აგებული. ამ წყობილების საძირკევა-
შეადგენს მრეწველობა და ალებ-მიცემობა. მაშასადა-

მე სამრეწველო ლტოლევილება თავის-თავათ ბადებს ლტოლევილებას გადასახლებისას. ჩეენ, ქართველებიც, ამ უკანასკნელ ღრას შევდექით ამ გზაზე, ჩეენშიაც ილიძებს მოთხოვნილება აქეთ-იქით წასელა-მოსელისა და უკეთესის ძიგისა. მეორე მხრით, ჩეენი მეზობელი ერებიც ამსავე ელ ტეან და ასე ხან ჩეენ მოქვედებით მათ და ხან ისინი მოგვედებიან ჩეენ, ხან ჩეენი ინტერესი ეწინააღმდევება მათ ინტერესებს და ხან მათი ინტერესი ეწინააღმდევება ჩეენსას. და რაც უფრო წინ წავალთ სამრეწველო გზაზე, რაც უფრო თავს დავაღწევო ძველ პატრიარქალურ-უერდალურ ურთიერთობას და გამოვალთ სამოქალაქო ასპარეზზე, მით უფრო გაძლიერდება ჩეენი ასეთი მიღრეკილება, მით უფრო გახშირდება გადასახლ-გადმოსახლება და მაშასადამე მით უფრო გამზავ-დება ბრძოლა. ამ საერთო შეტაკებაში ვინ გაიმარჯებს და ვინ დამარცხდება, ვინ გაილესება და ვინ აღორძინდება — ეს ძირითადი კრთხებია არსებობისა.

რას შეიცას ეს ბრძოლა? რა არის, საზოგადოთ, გადასახლება? გადასახლება მოასწავების გადა-სახლებულთ და გადასასახლებელ ადგილს, ე. ი. ადამიანთა საცხოვრებელ მიწა-წალს, ტერიტორიას. აი, ამ ელემენტებ შორის ტყდება ბრძოლა. პრეველი ან იმორჩილებს მეორეს ან და თვითონ ემორჩილება მას. ის რაც უფრო მაღალი კულტურისა მატარებელია, მით უფრო ბატონდება ბუნებაზე და თავის ყურ-მოჭრილ მონათ ხდის. და პირ იქით, ის რაც უფრო დაბალი კულტურისაა, მით უფრო იჩარება, ბუნებასთან ბრძოლაში მარცხდება და ბოლოს ერთიანათ ემორჩილება. მარა რა არის მაღალი და დაბალი კულტურა? კულტურის სიმაღლე დღეს იზო-მება მრეწველობის სიმაღლით. ცხადია, მრეწველი ხალხი იძლევა საუკეთესო კოლონისტებს. ამის მა-გალითს წარმოგვიღებენ ინგლისელები. ამათ და-სახლეს ამერიკა, ავსტრალია და მრავალი კუნძულები. როგორ, რით? მრეწველი ხალხი თუ სამდე მი-დის, მიდის მხოლოთ სამრეწველო და სავაჭრო მი-ზით. უცხო ქვეყანაში ისინი ეპატრონებიან მთა-მაღნებს, ნაეთ-სადგურებს, ხსნიან ფაბრიკა-ზაოდებს, აშენებნ ქალაქებს და ასე მთელ აღებ-მიცემობის და მოქალაქეობის სათავეში დგებიან. ამას თან მოს-დეს მეცნიერება, სწავლა-ცოდნა და სხ. და ასე, თვე-თ უდაბნოსაც გაანაყოფიერდება, თვით უკაცო ადგილ-საც ხალხით აესებნ და ცხოვრებას ატრასებენ. მიწის შემუშავებას, მეურნეობას აქ მცირე ადგილი უჭირავს; იმას ან ადგილობრივ მკვიდრთ უორევებინ ან და ამასაც კაპიტალისტიურ წესით ამუშავებენ. ერთი სიტყვით ბურჟუაზიას წარმოების ერთი ნაწილი უცხოეთში გადაქვს, ამას თან მისდევს მუშა-ლი უცხოეთში გადაქვს, ამას თან მისდევს მუშა-

ხალხი და ასე იქმნება ახალ-შენი. აშენაა, გადასახლების უძლიერესი იარაღი ვაჭრობა და მრეწველობა. და ეს ასე უნდა იყოს ამ სამრეწველო დროში.

მარა უკელა ხალხი ხომ მრეწველი არ არის. ზოგი მათგანი გვიან გამოსულია ამ გზაზე და ჯერ კიდევ ვერ მოუსწრია განახლება. მასი ცხოვრების უმთავრესი წყარო მეურნეობა და მიწაზე მიკრული. წასელა-მოსელის, გადასახლ-გადმოსახლების სურელი მასში სუსტია. და თუ ის მაინც სახლდება, ამის მიზეზია ან მიწს სოერი ან და მთარობა. გადასახლებული, როგორც მეურნენი, პირველ კოველისა მეურნეობას ეტანებიან. აიტომ ისინი ბანედებიან არა ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებში, არამედ სოფლებში, მინდობ-ულებში. ისინი იცელიან მხოლოთ ადგილს, ტერიტორიას და არა ხელობას. და აი, სწორეთ აქედან წარმოიშეს უმ-თავრესი მიზეზი მათი დამარცხებისა, ჯერ ერთი რომ, როგორც დაბალი კულტურის ხალხი, იძულებულა გარეშე ბუნებას თვითონ შეეწყოს, მის გზაზე იაროს და არა ის დაიმორჩილოს და თავის სურვილზე ატაროს. მეორეთ, მაშინ როდესაც ვაჭრობა, როგორც ჩრდილოეთში ისე სამხრეთში, თითქმის ერთი და ივივეა, მეურნეობა სრულიად სხვა-და-სხვაა. კარგი გაჭარი ერთ ალაგას კარგი გაჭარი მეორე ალაგასაც. მარა კარგი მეურნე სამშობლოში შეიძლება ძალა-ცუდი მეურნე იყოს უცხოეთში. აქ თვითონეული ნაჭერი მიწა, თვითონეული კუთხე და მაზრა განსაკუთრებითი ბუნებრივი თვისებებით არის აღჭურვილი, ყველა ამის გამორკვევა და შეგნება ფართო განვითარებას მოითხოვს. მეორე მხრით, მეურნეობის ნაწარმოების გაყიდვა საჭიროა. თუ ეს ქვეყანა სამრეწველო ქვეყანა არ არის, ბაზარიც სუსტია და საჩიო-საბადებელი ან ჩალის-ფასათ უნდა გადა-ცყარო, ან და ბელელში შეინახო. ხოლო თუ აქ მრეწველობა და აღებ-მიცემობა საკმაოთ განვითარებულია, ბაზარიც გაფართოებულია, მარა უკელა ამის ბატონ-პატრონი ფარებია და მეურნეც იძულებულია მათ ბადეში იტრიალოს. ამ ნაირათ, გადმოსახლებული — მეურნენი ორ ნაირ ბრძოლას ეწევიან: ბრძოლას ბუნებასთან და ბრძოლას მოქალაქეობასთან.

წავიდეთ ქვეეთ. ეთქვათ რომ ერთ და იმავე ტერიტორიაზე იბრძეან ორი ხალხოსნობის წარმომადგენელი ერთი და იმავე იარაღით, მაგ: ორივე მრეწველია, ორივე აღებ-მიცემობის და ვაჭრობის სარბილზე მოღვაწეობს. რომელ ეროვნობას რჩება აქ ბურთი და მოედანი? აქ ბრძოლის გადამწყვეტია მუშა-ხალხი. იმ მუშას, რომლის კულტურული მომენტით ბუნებასთან და მუშა დამე მცირე დღის თხოვნილება მცირე და მაშასადამე მცირე დღის ქირასაც ჯერდება, მეტი მუშტარი ჰყავს. კაპიტალის უცხოეთში გადაქვს, ამას თან მისდევს მუშა-

სტი, მიუხედავათ მისი ნაციონალიზმისა, საშინელ
საქმის კაცათ ხდება, როცა მოგვებ-წაგებაზე მიერ სა-
ქმე. ის პირველ ყოვლისა იაფ მუშას ეძებს, არის
ეს მისი თანამემამულე თუ არა — მისთვის სულ ერთია,
თუ კი, რასაკეირველია, საქმეს კარგათ აკეთებს ამ
რიგათ დაბალ კულტურიან ერის მუშას და სამრეცვ-
ნის მაღალ კულტურიან ერის მუშას და სამრეცვ-
ლო აუგილებში თვითონ ბატონიდება. ამის მაგალი-
თია ჩეხელნი, ტალიერნი, პოლონელნი, და სხ.
ესენი საშინელ კონკურენციას უწევენ გერმანელთ
გერმანიაშიე. პოლონელები სილოზირდან და პო-
ზნარიდან გადაღინ დასაცელებ პრუსიაში და მოელ
კუთხეებს იჭერენ. მაგ. რეინის და ვესტფალიის სა-
შრეწელო აღვილებში (ქალაქ ესენს და მის მიღა-
მებს გარდა) 97,000 პოლონელი მუშა რაიცა
მცხოვრებთა 10% შეაღენს. გელსენკირხის მახრა-
შია 30,000 ე. ი. აღვილობრივ მცხოვრებთა 20%,
ასევე სხვა მაჩქებში. საქმე იქამდის მიერდა რომ
წელს რეინსტაგის არჩევნის დროს საკუთარი პოლო-
ნელი კანდიდატიც კი წამოაყენეს, ხოლო პოლო-
ნურ სკოლებს ხომ კაი ხანია თხაულობენ („Kol-
nische Zeitung“ 9 მაისის 98 წ.) ბოჭევიაში მთა-
მაღნები და ფასტრიკა ზაეოდები წერეცების ხელშია,
ხალიო მუშები კი ჩეხელებია; ჩეხელები მიღიან ავ-
სტრიგაში და შრომის ბაზარზე რეაც ამარცხებენ
წერეცებს. სამხრეთ საფრანგეთში ისე გაძლიერდენ
იტალიელები, რომ წელს პარლამენტში სოციალი-
სტების ერთმა დეპუტატმა წინადაღება შეიძინა: კა-
პიტალისტები კანონით ვაძულოთ, რომ უცხა და
შინაურ მუშათ ერთნაირი ქარა მისცენო. ეს პირ-
დაპირ ეწინააღმდეგება ბურჯუაზიის ინტერესს და მა-
შასადამ პროექტის უარისყოფაც მოსალოდნელია.
ერთი სიტყვით, ერთ და იმავე ნიადაგზე ორ მეტო-
ქე ერთა შორის ის იმარჯვებს, რომლის მუშა-ხალხს
ნაკლები მოთხოვნილება აქეს და ამიტომ ნაკლები
ქირით ჯერდება ¹⁾.

მარა შეიძლება ეს მეტოქეობა სამეურნეო ასპარეზზე წარმოებდეს. ამ შემთხვევაში კითხვა უფრო რთულდება, ამის გადასაწყვეტათ საჭირო თვით წარმოების წეს რიგის სახეში მიღება. მეურნეობას აწარმოებენ ორ-ნაირათ: ინტენსიურათ და ექსტრენსიურათ.

1) ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ეს რაც უფრო
ნაკლები მოთხოვნილება აქვს, მით უფრო ამაღლებს
მეტადეს. ამ მოთხოვნილებას საზღვარი აქვს, რომლის
დასავალი დაშვება საღისის განადგურებას გამოიწვევს. წარ-
მოიდგინ რომ ჩეკით საღისა ჰყელებულ ჰატრიარქულ
მდგრადი კია, მას ფულის მოთხოვნილება არ აქვს. მა-
შასაჭამე საჭიროობა არ წავა და მოწევდნი იმულებულ
იქნებან სხვა ტომის მუშა-საფის მოიყვანონ...

პირველი მოითხოვს მეტ შრომას და კაპიტალს და ნაკლებ მიწას, მეორე კი მეტ მიწას და ნაკლებ შრომას და კაპიტალს. ინტენსიურ მეურნეობაში ნაციონალურ კითხვას წყვეტს იგვე მუშა ხალხი. პატრონი შეიძლება მოსული იყოს, მარა თუ ის აღილობრივ ხალხს ქირაობს, და თავის მამულში ამუშავებს—თვითონ იძულებული ხდება აღილობრ-ები ენა და ზე ჩვეულება შეითვისოს. მაგ, პრუსიის პოლშაშა მეტამულება უმრავლესობა ნებეცებია ხლომათი მუშები და მოსამსახურენი პოლონელები. და იმის მაგიდა რომ პოლონელები განემოცდენ, თეთვი ნებეცები პოლონელ უებიან. აი, ამ გარემოებამ ამ ორი კურის წინეთ პრუსიის მთავრობას ძალა დაცანა ავსტრიის ქვეშევრდომი პოლონელი და ჩეხელი მუშები გაედევნა თავის საზღვრებიან. აგრეთვე მან განდევნა დანიის ქვეშევრდომისაც. ისინი არაერთა აგიტაციას არ ეწეოდენ, მხოლოდ მემამულები სიიაფის გამო მათ უფრო ქარაბდენ ვრცელ ნებეცებს და ეს საშიშარ მოელენათ დასახეს. შელეზეიგ პოლშტაინის გუბერნაციონმა ფონ-კიოლერმა განაცხადა: დანიის ქვეშევრდომი მუშები განდევნენ იმიტომ, რომ ფერმერები ვაძულო გერმანელი მუშები დაიქრაონ, უამისოთ ამ პროვინციის გაგერმანელება შეუძლებელია. სულ სხეაა ექსტრემისიური მეურნეობა. აქ უმთავრესი მნიშვნელობა ეძლევა არა დაქირვებულ მუშებს (ესნი ძლიერ ცოტაა), არამედ აღილობრივ მცხოვრებთა სიმრავლეს და მათ კულტურულ მომზადებას. თუ კი ირგვლივ ერთი და იკვევ ტომის ხალხი ცხოვრობს, ხოლო აქა-იქ უკეთ ხალხი სახლობს და თანაც კულტურით ეს უკანასკნელი პირველს არ აღმატება, ცხადია სიმრავლე თავისას გაიტანს და უმცირესობა უმრავლესობას გაედენას დაემორჩილება.

საზოგადოთ, სხეულის გადმოსახლება საშიშარი არ
არის მხოლოდ იმ ხალხისთვის, რომელიც კავ ხანია
გამოვიდა ძეველ, ფეოდალურ ურთიერთობისაგან,
შეიმუშავა ახალი მოქალაქობრივი ურთიერთო-
ბა, ილორძინა მრეწველობა და აღებმიცემობა,
გაიჩარა მიმოსელა და ერთმანეთის გაცნობა, შექმნა
ახალი მწერლობა და ხელოვნება და მით ჩამოასხა
თანამედროვე ერი, ერი ერთი და განუყოფელი.
წინააღმდევ შემთხვევაში ე. ი. როცა ხალხს ჯერ
კიდევ ვერ დაუღწევია თავი დროს-გადასულ წყობილე-
ბისაგან, ვერ განთავისუფლებულა ფეოდალურ ბატო-
ნობისაგან, აი, ასეთი ხალხი წარმოადგენს ძლიერ სუსტ
ზღუდეს, რომლის დალენვეა ადვილი საქმეა. ამნაირი
ხალხის საზოგადო რაც შეძლება დაჩქაროს თავისი
განახლება და...

የመጀመሪያው የፌዴራል በፊት እንደሆነ ስምምነት ይችላል.

სხვა-და-სხვა ამბავი.

გთავარ-მართებლის კანცელარიაშ უველა გუბერ-
ნატორებს დაუგზავნა ბეჭდების საქმეთა უმთავრესი
სამართველოს ცირკულიარია, რომლითაც ითხოვენ,
რომ სახალხო უფასო ბიბლიოთეკები და სამკითხვე-
ლოები ფუძნდებოდენ თანახმათ 15 მაისს 1890 წ.
შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემული წე-
სებისა. ხოლო ამ არსებული სამკითხველოები და
ბიბლიოთეკები, რომელნიც სხვა საფუძველზე არიან
აგებული, იმავე წესების თანახმათ უნდა მოწყონ. ეს
წესები, როგორც ვიცით, ეხებიან უმთავრესათ წიგნე-
ბის არჩევას.

29 ნოემბერს მოხდა მესამე საზოგადო კრება
შიდა გუბერნიიებიდან გადმოსასახლებელთა დამხმა-
რე საზოგადოების საკონტროლო პალატის უფროსის
ბ. ბუტირკინის თავმჯდომარეობით. ამ კრებაშე და-
სრულდა საზოგადოების წესდების განხილვა და გა-
დაეცა კომიტეტს საბიულოებით შესაღენათ. ბ. ვე-
ლიჩქომ მოითხოვა წესდება კიდევ ერთხელ იქმნა
წარდგენილი საზოგადო კრების წინაშე განსახილვე-
ლათო, მარა ეს წინადადება არ იქმნა მიღებული.
„საზოგადოებას“ პქნებია ამ ქამათ მხოლოდ 6,633
მანეთი...

თვითონისის მეხუთე ნაწილის ბოქაულთ დაევა-
ლათ შეკრიბონ კანონები შესახებ იმისა, თუ რამ-
დენი მუშები (დედა-კაცები და მამა-კაცები ცალ-
ცალკე) მუშაობენ ბოზარჯიანების, ენფიანჯიანების,
ალიხანოვის, ადელხანოვის, კარაპეტიოვის, ჩითახო-
ვების და „მირის“, ფაბრიკა-ზავოდებზე. ამასთანავე
უნდა გამოიკვლიონ რამდენი მუშა ცხოვრობს ფაბრი-
კების სადგომებში და რამდენი სხვა ბინებზე. უვე-
ლა ეს ცნობა 6 დეკემბრისთვის უნდა წარუდგინონ
პოლიციებისტებს.

ხმოსან ტიგრანოვს ორი თვეით დაპატიმრება
გადაუწევიტეს შხოლოთ იმისთვის, რომ საბჭოში ქა-
ლაქის თავს ბ. ევანგულოვს გაცხარებულ დაეის
დროს უთხრა: „გთხოვთ დარიგებებს ნუ მიყითხავთ,
მე თეოთონ შემიძლია თქვენვე მოვცეთ არა უარესი
დარიგებები“. და კიდევ: „ბატონო თავი, მე ისე
ცოტათი პატივისცემა მაქეს თქვენი, რომ სამარც-
ხეინოთ მიმაჩნია თქვენ თავ-მჯდომარეობას ქვეშ
დარჩენა“. ბედნიერია ბ. ევანგულოვი!

1897 წელს ამიერ-კავკასიაში ყოფილა 28,755
თამბაქოს პლანტაცია, რომელთაც 3,082 დესიტინა
მიწა პქნებია და სულ მოუცია 212,016 ფუთი თამ-

ბაქო. ამ უკანასკნელ 5—6 წელიწადს თამბაქოს
მოყვანას უმატია 35 პროცენტით, ანუ წელიწადში
6 პროცენტით. ამ წარმოებაში პირველი ალაგი უკი-
რავს ქუთაისის გუბერნიას, საღაც 16,329 პლანტა-
ცია 2,886 დესიტინა მიწით, რაიცა 142,400 ფუთ
თამბაქოს იძლევა. თვითონისის გუბერნიაში კი
2,781 პლანტაცია არის 426 დესიტინით და იძ-
ლევა 37,660 ფუთს. თამბაქოს მაზანდა არის 12—15
მანეთი ფუთზე. მსვილ მეთამბაქოებს უფრო კარგი
თვისების თამბაქო გამოყავთ და ამიტომ სამი მანე-
თით ყოველთვის მეტათ ყიდიან ისინი, ვინემ წერილი
მეთამბაქოები. („სავაჭრო-სამრეწველო გაზ.“ № 255).

იმავე გაზეთის იმავე ნომერში დაბეჭდილია ერ-
თი მეტათ საყურადღებო წერილი რუსეთის მრეწვე-
ლობის შესახებ. აქედან სხვათა შორის ვტყობი-
ლობთ, რომ რუსეთის იმპერიაში ყოფილა 1886 წ. 20,847 ფაბრიკა და 759,495 მუშა; 1896 წ. 38,401
ფაბრიკა და 1,742,181 მუშა. ხოლო დამუშავებუ-
ლი საქონლის ლინებულება ერთი მილიარდიდან
(1886 წ.) 2 მილიარდ 745 მილიონ მანეთმდე აწე-
ულა. მუშათა 55 პროცენტს უკვე გაუწყვეტია ყო-
ველივე კავშირი მეურნეობასთან. კერძოთ, კავკასია-
ში 1893 წ. ყოფილა 22,030 ფაბრიკის მუშა, 1896 წ. კი 55,668.

დღეს, კვირას, ქართულ თეატრში დრამატულ
საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილ იქნე-
ბა: „პირველი ბუზი“ კომედია 3 მოქმედებათ და ვო-
ლევილი „გამარჯებულებს არა სჯიან“. ხუთშაბათს
ათ ამთევს დანიშნულია ჩეენი ნიჭიერი არტისტი ქა-
ლის, ჩერქეზიშვილის, ბენეფისი. წარმოდგენილი იქნე-
ბა „რას ვეძებდი და რა ვპოვე“! კომედია ბარ-
ჯორჯაძისა და „გლახა ჭრიაშვილი“ ილ. ჭავჭავა-
ძისა.

დღეს კვირას სახალხო თეატრში ქართული
სცენის მოყვარენი წარმოადგენენ „პეპოს“, კომედიას
სუნდუკიანციისას.

ჩვენ მივიღეთ ი. იმედაშეილის მიერ გამოცე-
მული ორი წიგნაკი: 1) ლ. ტოლსტოის „რისთვის
ითერება ხალხი“, თარგმანი განდეგილისა, შეიცავს
62 გვერდს და ლირს 5 კა. 2) „ზურაბის კოში“
სურათი თუშების ცხოვრებიდან ის. ბუქურაულისა,
შეიცავს 40 გვერდს და ლირს 3 კ. ამ წიგნას აწე-
რია, რომ წმინდა შემოსავლის 30 პროცენტი გადა-
იდება წ. კ. საზ. მუშეუმნს და ქართველ დელათა
სკოლის სასარკებლოთ.

პ ი ლ ი ტ ი კ ა.

3 ილჰელმ მეორე, გერმანიის იმპერატორი, მეტათ შესანიშნავი კაცია ახლანდელ ხელმწიფებს შორის. მოძრავი ხასიათით, სამხედრო ორგანიზაციონული ნიჭით, პოლიტიკაში შორსმჯერეტელობით და სახელმწიფო საქმეთა მართვით ძალიან მოვაგონებს პრუსიის კაროლს ფრიდრიხს დიდს, რომელმაც შექმნა მეთერამეტე საუკუნეში პრუსიის სამეფოს ძლიერება. თვით იმპერატორი ვილჰელმ მეორე ძალიან ბაძავს თვეის დიდ წინაპარს შინაგანსა და გარეგან პოლიტიკაში. სხვა ხელმწიფურ ღირსებებს შორის ის არის მჭერმეტყველობის ნიჭითაც შემკული.

ტახტზე ასელისათანავე მან განაცეიფრა ევროპა სამი საგნით: 1) შემოიტანა გერმანიის კლასიკურ ალზრდაში დიდი ცვლილება; ის შეიქნა ფორმალური ალზრდის და მკადარი ბერძნულ-ლათინური ენების წინააღმდეგი; 2) მოისურვა გაუმჯობესება მუშათა მდგომარეობისა და 3) განადიდა საზღვაო სამხედრო ძალა, თანაუგრძნო საეგრძო ფლოტის გადიდებას, რომ გარეშე ქვეყნებში — აზიაში და აფრიკაში ახალი კრუელი ბაზრები მოვაკებინა გერმანიის ალებმიცემობისთვის და მის ფაბრიკების ნაწარმოებისთვის. იმას გარეშე პოლიტიკაზე დიდი ყურადღება აქვს მიქცეული და ცდილობს საერთაშორისო საქმეებში გერმანიის სახელმწიფოს პირველი აღაგი დაკერინოს და თეოთონაც მსოფლიო ასპარეზზე პროგრესიული დროშა ხელში ეყვოს.

საიდან დაებადა ასეთი პროგრამმა ვილჰელმ II, ან როგორმა შინაგანმა და გარეგანმა გარემოებებმა წააძირეს ის ამ გზას დადგომოდა? აი, საკითხი, რომელსაც ჩერ მოკლეთ უნდა ეუგიათ პასუხი, რადგან არც აღვილი და არც გარემოება ნებას არ გვაძლევს, ამ საგანს კრულათ შევეხოთ.

1870 წელს, როდესაც გერმანიაში ძლია საფრანგეთი, ვილჰელმ პირველმა, შეიცერო ნაპოლეონ მესამე, მოხადა მას საიმპერატორო გვირგვინი და დაიშენა მითა ჭალარა. იმდროს ვილჰელმ მეორე, ვილჰელმ პირველს შეილიშეილი, თერთმეტი წლის ყმაწილი იყო. მაშინ ის დემნაზის მეორე კლასში ემზადებოდა შესასვლელათ; მისი ძმა პრინც ჰენრიი კი მხოლოდ მეათე წლისა იყო. 1874 წლის გასულს რამდენიმე თვე შემთხვევით გავატარე კასსელის ჭალაქში და ხშირათ ეხდადა ამ თა გერმანიის პრინცებს სულ უბრალოთ ჭუჩაში მოსეირნებს. იმათ ეცვათ უბრალო სამიერალაქო ტანთსაცმელი და თავზე Hüte *) (ქუდები) ეხუ-

*) Hut და ქუდი ერთი ინდოგენტმნები სიტეგის ძირიდან უნდა წარმოებულის.

რათ. შორი-ახლოს მიდევდა ხოლმე მათ აღმზრდელი, ისიც სამიერალაქო ტანთსაცმელში გამოწყობილი; იმათ უბრალო მოქალაქის შეილებისაგან ვერ გაარჩევდა კაცი. ისინი კასსელის ღემზაზიაში იმანირათვე მარტივათ იზრდებოდენ, როგორც სხვა მოქალაქის შეილები, იგივე ღემზაზიური ფორმები ეცვათ, როგორც სხვებს.

იმდროს მთელი გერმანიის ტომი შეერთებულ სახელმწიფოს შეადგენდა. იმის იმპერატორის ფერხთა ქვეშე იუვენ გათელილი საუკუნო მტრები პრუსიის და გერმანიის სახელმწიფოებისა: ერთი მხრით აესტრია, დამარტებული 1866 წელს და განდევნილი გერმანიის კაშირიდან, მეორე მხრით საფრანგეთი დასაგრული, რომელსაც ჩამორთმეული ჰქონდა ლუდვიკის XIV დროს წარმოშეული ორი მაზრა ელჩასი და ლოტარინგია. ამ სახით იმპერატორი ვილჰელმ მეორე თავის სიყმაწილეშივე ხედავდა გაძლიერებას და შეერთებას მთელი გერმანიისას. შინ მისი აზრით იმას ბევრი აღარა ჰქონდარა საკეოებელი. ნაკიონალური აღორძინება და შინაგანი გაძლიერება გერმანიის იმპერიისა მისმა წინაპრებმა დამთავრეს. ვილჰელმ მეორეს კი ბედმა არგო ყმაწილობაშივე გაძლიერებული ერთი თაოსნობა, აურაცხელი ჯარი, სახელმწიფო ხაზინის სიმდიდრე, შეენიერათ გაწყობილი სამხედრო ფლოტი და ამავე დროს მისი კანცლერი ერთობის სახელმწიფოებს წინ უძლოდა. მაშინადა დარჩენოდა მას?.. — მე დამჩენიაო — წამოიძახა მან, როცა ბაბუა მოუკვდა და კრონპრინცობა მიღილ, პროგრესის დროშა ხელში აეილო და აღმოსალეთისკენ გაეცემოვო; დღემდის ეს მსოფლიო დროშა საფრანგეთს ეჭირა ხელში და ახლა ის გერმანიის იმპერატორის უნდა იყოსო. მე მესამოცდათ წლის კაცი ვარ, ესე იგი იმ თაობის კაცი, რომელმაც გერმანიას ახალი ნაბიჯი უნდა გადაადგმევინოს წინ, ლირისი და შესაფერი ჩემი მამაპაპის ლენწლმოსილობისათ. აი, ამ იდეით არის მთელი ახლანდელი გერმანიის ბურჟუაზიული თაობა გატაცებული და მართლაც თავის იმპერატორს მესამოცდათ წლის კაცს ეძახის. აი, ამ იდეით გატაცებული თვეით იმპერატორი ვილჰელმ მეორე მუზამ მოგზაურობს, ეცნობა თავის მეზობელ ქვეყნებს, ესაუბრება იმათ გეირგენოსნებს, კარის კაცებს, სახელმწიფოს მმართველებს, ეითარდება და სწავლობს ყოველსაცე, რაც მას გამოადგება; აეითარებს და ცდის თავის თავს მსოფლიო პოლიტიკაში.

იმას გულში აქვს ამიჭრილი თავის წინაპრის ფრიდრიხის დიდის პროგრამა, რომელმაც ეკატერინე მეორის ძლიერებისაგან ისხა ერთხელ ასმალეთი იმ გაზრიანებით, რომ ეს სამხედროს ლობი თავის დროზე ჩემ სახელმწიფოსაც გამოადგებაო. ნაპოლეონ

პირველის დამარცხებას ახლა სხვათა შორის იმ გა-
რემოვნებასაც აბრალებენ, რომ როცა ის აუკესანდრე
პირველთან ომს ეჭიადებოდა, ოსმალეთი სულ დაი-
ვიწყო. ნაპოლეონ მესამეს უნდოდა ეს ნაკლულე-
განება თავისი ბიძისა შეეცსო და ამიტომც მოელ
თავის ხელმწიფობაში ისმალეთს მუდამ კავშირს
უწევდა და პაპის მორჩილი ყმა იყო ქრისტის საფ-
ლავის ქვეყნებში კათოლიკის სარწმუნოების გასავრ
ცელებლათ. დღეს იმისი ალავი ვილჰელმ მეორემ
იყდო ხელში, მხოლოთ იმ განსხვაებით, რომ მან
გამოაცხადა: მე თანამწორათ პატივს ეცემ ყველა სა-
რწმუნოებას, მაჰმადიანებს არ დავაჩვერინებ ქრის-
ტიანობასო, მაგრამ თვით მაჰმადიანებიც მიყვარან და
იმათი სულთნის კარგი მოკავშირე და მეგობარი ვა-
რო. რასაკვირელია, ასეთი აზრები გერმანიის იმპე-
რატორისა ანც აღმოსავლეთის კათოლიკეთა და ანც
მართომადიდებელთა მფარელებს არ იამებოდათ.
მაგრამ ვილჰელმ მეორე, რაღაც ფრიდრიხ დიდის
პროგრამას ასრულებს გარეშე პილიტკაში, მეტი
ლონჯ არა აქვს, ასე უნდა მოიქცეს: მისი დევიზია —
„Drang nach Osten“ (გავეშუროთ აღმოსავლეთი-
სკენი). ასეთი დევიზი აღრე თუ გეიან უკეთესობა
პასუხს აკებინებს მას რუსეთთან, როგორც პალესტი-
ნაში და მცირე აზიაში, ისე ჩინეთში და წითელი
ზღვის ნაპირებზე. ცხადა, რომ ამ შემთხვევაში მი-
სი ბუნებითი მოკავშირენი უნდა იყონ როგორც ინ-
გლისი და ამერიკა, ისე ისმალეთი. ასეთ ლიტლიკურ
შედევს ერა დაუდებარა წინ. ამას გრძნობენ დღეს
მთელი ეროვნის უურნალ გაზიტები, ამასვე ლაპარა-
კობენ რუსეთის პოლოტიკას დამუშავა პრინციპი ერთეულ-
ბისა და შექმნა ნაციონალობის მცნება, ნაციანალუ-
რი წარმოება, მეოცე საუკუნე კი უკეთესობა
შეიძეგს ტომიბითს პრინციპს და წამოაყენებს ეკო-
ნომისურ წიაღავზე ტომ იბითს ბრძოლას. ერთი მხრით
წამოდებიან შეკავშირებული სლოვენთა ტომები,
მეორე მხრით ლათინთა ტომები და მესამე მხრით
ინგლის-საქსონთა, ანუ კელტთა ტომები. ი, ამ სამ-
გვარ ტომთა ბურეულის შორის უნდა იყოს საშინელი
საალებ-მიცემ და სამრეწველო კონკურენცია, საოცარი
ბრძოლა ცხოვრების ასპარეზზე. მაგრატორი ვილ-
ჰელმ მეორე დღეს ამ პრინციპის წარმომადგენელია;
იმას უფირავს ხელში ინგლის-საქსონთა. ტომების
დროშა და ამისთვის ის ერ უმტყუნებს ამ ტომთა
წარმატებების სახელმწიფოებს, რომ მათთა კავში-
რი არ შეკრის.

გ. წერეთელი.

— თავისი მიზანი და მიზანის მიზანი —

„კუვალის“ კორესპონდენციები. გრადუსი

ქეშმო მაჩიანი. 22 ნოემბერს, მოხდა საგანგებო
კრება ქვემო-მაჩიანის მოშტარებელ საზოგადოებისა.
პირველი საათი შესრულდა და ჯერ ხალხი არსად
იყო. მოსულიყო 9—10 წევრი და ისინიც ბევრ
ლოდანს შემდეგ უკავე დაბრუნებას პირებდენ. გამ-
გეობის წევრმა მახარაძემ გამოაცხადა — კრება უმჭვე-
ლათ უნდა მოხდეს, დღევანდელ მდგომარეობაში
ამხანაგობის საქვის დატოვება ყოვლად შეუძლებე-
ლია და ამიტომ თქვენ გარდაწყვიტეთ წარმოდგენი-
ლი საკითხებით. ზოგიერთ პირი უარი განაცხადეს,
ჩვენი დადგენილება კანონიერი არ იქნება, მით უმე-
ტეს, რომ დღევანდელ კრებას იმისთანა საკეტჩე
ექნება ლაპარაკი, რომელთა გადაწყვეტა შეუძლიათ
არა უმცირეს $\frac{2}{3}$ წევრთა. მერე დაატარეს კაცი და
ახლო სოფლებიდან საათის 3-ზე შეაგროვეს 28 წევ-
რი. მახარაძე სანდურავს უცხადებს საზოგადოებას
გულუიობაზე, მხოლოთ ზოგიერთი საზოგადოებას
ამართლებენ იმითი, რომ ხშირათ ძელი გამგეობა
უზელიათ ექცევა საზოგადოებას, ბევრ მათგანს
შეურაცხოფა მიაყენეს, ზოგს ხმა არ ამოაღებინეს,
ხალხს სიტყვა არ ათქმევინეს და აი ამიტომ წევრე-
ბი უსამოენობას ერიდებიან და აღარ დაიარებან
კრებებზედაო.

შემდევ ბ-მა მახარაძემ მოახსენა კრებას თუ რა
ჩა-ბარა ძეველი გამგეობისაგან და ან რა გარემოება-
ში ჰქონა იმან ამხანაგობის ვაჭრობა. გამოაცხადა,
რომ, თუ ახალი წევრები არ შევიძინეთ და ან და-
მატებითი ფულის ჩასელით თანა არ გავაძლიერეთ,
საკეთოა ამხანაგობის ვაჭრობის გაგრძელება. ანგა-
რიშის კოხხების დროს ჩამოვარდუ ნისიებზე ლაპარაკი.
ერთმა წევრმა იყითხა: გამდების წევრს ჯავაშეილს რომ
ჩენია ეალი გამ იურიცხეთ, პროცენტებიც უარგარიშეთ
თუ არა. ამაზე მახარაძემ უპასუხა, უპროცენტოთ უუ-
ანგარ შეთ ფულიო. დ. ნალიაშვილი: საზოგადოებაშ ნება
მოგვია გამგეობას წევრთ თვეში თითას 30 მან.
დახარჯებისა. წლის ბოლოს ის ფული უნდა შეგვევ-
სო იმ ჯილდოდან, რომელიც ჩენ გვერგებოდა წლის
სერთო მოვებიდან. ჩენიც ეხარჯეთ თვეში 30 მან.
მაგრამ, რადან წლის ბოლოს ამანაგობას ზარალი
ჰქონდა მოუსავლობის (!) გამო, ჩენ ჯილდოთ
ალარავერი შეგვევდა და ველარც შევავსეთ დანახა-
ვი. ოთხი წელიწადი მუქთათ ვიმსახურეთ და რაღა
სარგებელი და უნდა ვარლიოთ საზოგადოებას, განა
ჩენი სამსახური კი საკმარისი არ არის. საზოგა-
დოებიდან ხმა გასცეს, რომ თუ საზოგადოებაშ ნე-
ბა მოგაცათ თვეში 30 მან. გეხარჯათ, ეს ხმა წე-
ლიწადში 360 მან. შეადგენს, წლის თავს რომ ნა-

ხეთ, ჭარალი იყო, მეორე წელს რაღაც ხარჯეთ? თუნდა ეგვიპ კანონიერი იყო. ორი წლის განმავლობაში ხომ სულ 720 მან. ნება გქონდა, შენ 1020 მან. რათ დახარჯე. თუ დახარჯე კი იყე რატომ აღარ აბრუნებო. (ზოგი იძახის უჯამავიროთ არ იყავით, უფრო მეტს ხარჯავდით ჯამაგირზე), ნადირადე ჯაერობს, ხმაურაბაა. მათიაშეილი ლაპარაკობს, ნადირადე აწყვეტინებს. მათიაშეილი: ბატონებო, ჩივით ხალხი არ დაიარება კრებებზე. თქვე დალოცვილებო, არაეს კი არას ათქმევინებო და აბა რისთვის და მოვიდეთ. ეგ. მენთეშოვი: გამგეობას ნება ჰქონდა ეხარჯნა, ნისიათაც მიყცა, ნისიების გადახდა კი მაგათი ვალი არ იყო. ხმა ისმის კრებიდან. კრებას ის არ დაუღენია, ნისიათ გაეცით უზომოთ და მერე ნულარ აკრეფთო, ნისიას საზომი და საზღვარი უნდა ჰქონდა. ნადირადე: ნისიებს ჩვენ ვკისრულობთ, რა ვადა უნდა დაგიდოთ. მდ. ბენაშვილი: წინა კრებაზე ნალირადე ამბობდა ორი კვირის განმავლობაში ჩაიბარებო ნისიებსო. ახლა ისევ ნისიებზე არის ლაპარაკი. საზოგადოებიდან ხმა ისმის—ვადა დაეუნიშნოთ და გაეთაოთ. ნადირადე ვადას არ მოგცემთ. ჩვენ დაეუმტკიცებო მონისიავეთ, რომ ჩართლა მოვალენი არიან. ჩივიგიძე: ვადას თუ არ მოგცემთ, მაშ ნისიებს როდის შეკრებავთ. როგორც ვხედავ ყინულზე გინდათ ნისიების დაწერა. კრებამ ნება მოგცათ ნისიათ გაგეცათ არა უმეტეს ნახევარ საწევრო ფულისა. თქვენ მეტს რათ ამლევდით? მდ. ბენაშვილი: წინათ ამბობდით დღესვე ჩაიბარეთ თქვენი ნისიებით, დღეს კი ამბობთ, როცა იქნება ჩავბარებთო. როდის იქნება ბოლო მოელოს ნისიებს? მასრამე: როგორც საქმე გავიცან ერთი უმთავრესი ჭია, რომელიც საქმესა ღრღნის და აქეეითებს, ნისიებია. ჩვენ უნდა გამოვტყედოთ რომ დანაშავენი ჩვენა ვართ. საჭირო ზომები არ მიგვიღია ნისიის შესაკრეფათ, საზოგადოების საყვედური აქ საზურიანია. საზოგადოებას ის ხომ არ უთქვამს ნისიათ გაეცათ და ნულარ მოთხოვთო. მე ვთხოვ საზოგადოებას დანიშნოს ვადა როდის რა ნისია ავილოთ. ნისია გაცემულია წევრებზე და არა წევრებზე. ნისიების შესაგროვებლათ კანონიერი ზომები უნდა მიეკითოთ. მედევ გადაწყვიტეს ნისიებისთვის ვადა მიეცეთ მომავალ კრებამდის და გადავიდენ შენობის საქმეზე. მასრამე: შენობის საქმე ისეთ გარემოებაშია, რომ გამგეობამ იმისი გადაწყვეტა ვერ იკისრა. შენობა, რომელშიაც დეპო, იმ პირობებშია დაუკენებული რომ ახანანიკობისთვის ზარალის მეტი არა მოაქცირა. ამ გარემოებაში საქმის დატოვება საზარალოა. გთხოვთ მეტი ყურადღებით მოექცეთ ამ საქმეს და გადაწყვიტოთ როგორ გავათავოთ საქმე. როგორც

ვიცი შენობა დაუწყია ჯავაშეალს. ფული შემონაბეჭდის და მერე საზოგადოებას დაუხარჯავს. დაუხარჯავს ზოგიერთ წევრსაც. დღეს ეს შენობა ჯავაშეილს. დაუყორდნია თავის სახელობაზე და იმას ეკუთხნის, ჯავაშეილი ამბობს უფლი მომეცით და შენობა თქვენი იყოსო. ბევრთა მქონდა ლაპარაკი შენობის შეძენაზე. თუ საზოგადოებას შენობაც ექნება, ზურგი მაგარი ექნება, მხოლოდ იმ პირობით უნდა შეიძინოს, რომ ეს სასაჩერებლო იყოს მისთვის. ჩემი აზრით საზოგადოებამ ჯავაშეილს უნდა დაუბრუნოს თავისი ფული. საზოგადოებამ რომ შენობაც შეიძინოს, იმდენი კიდევ უნდა შემოიტანოს, რაც შემოტანილი აქვს, ან არა და მოიშოროს ჯავაშეილი და კერძო პირებს მისცეს შენობა და შემდევ ნელ-ნელა გამოიყიდოს. —წარმოითქვა, რომ ჯავაშეილი აქ არ არის და უმისოთ საქმე არ გათვალებაო. მერე იკითხეს ჯავაშეილის პირობები და აღმოჩნდა, რომ ჯავაშეილი იმას გარდა რაც დაუხარჯავს შენობაზე კიდევ 543 მან. მეტსა თხოვულობსო. ს. ნასიძე: ეს ვუკიდოთ შენობა? 4000 მან. გვერდა, ისიც აღარ გვიჩანს, შეგ რა დავაწყოთ. მდ. ბენაშვილი: საზოგადოებამ რომ გამოიყიდოს, სასაჩერებლოა, მავრამ ვალი სულ ვალია ჯავაშეილის იქნება თუ სხვისა. მოდი დიგიდენზე ხელი აეილოთ და იმითი გამოვიყიდოთ, სახლი, ან სხვა პირებს გადავცეთ და მერე ნელ ნელა დაეკისხითო. ბენაშვილი, მენთეშაშვილი და მახარაძე ამბობენ, რომ კერძო პირები უკიდულობენ შენობას. ექვსას თუმანს გვაძლევენ, ამითი ჩვენც შენობაზე დანახარჯ ჩვენ ფულს ეიბრუნებთ, სხვასაც ვუსწორდებით და იმ პირებს ამ ფულში 6% ცალევთ. შენობა ჩვენ სახელობაზე იქნება და მერე გამოვიყიდით კიდევაც. ახლა ქსენონს გამართევნ მაჩხანშა, ნახევარ შენობას იმათ ვაქირავებთ, ისათვან ქირას აერებთ და ჩვენ შენობა იავათ დაგვიჯდება. ეს პირობა ძალიან სასაჩერებლოა ჩვენთვისო. გ. ტესაძე: მე მიკვირს ღმერთმანი. აქ ხშირათ უცნებობენ ხოლმე. 360 მან. წელიწალში საიდან უნდა გაძლიოთ და ან რათ? უფრო ქალაქ ალაგას ამისთან ნა შენობა ნაკლებ ფასებშია ხოლმე. ამბობენ შენობა ძალიან კარგი არისო. მერე რა რომ კარგია, თუ ჩვენ არ შეგვაძლია იმ კარგს შეძენა. განაცოლა რამ არის კარგი რომ ვერ შევეიძენა. ქსენონ, მივაკარავებთ, ის მეტ ქირას მოგვცემს და ჩვენ მუქ. თათ გამოვალოთ. ხუთი წელიწალია ველით მაკ ქსენონს და არსად არის—იქნება ორი წელიწალი კიდევ გავიდეს და მეტიც. მერე დარწმუნებული კი ხართ რომ ქსენონისათვის უეჭველათ ჩვენ შენობას დაიკრავებენ? არა, ჩვენ მოვარიგდეთ იმ ქირაზე, რაც შეგვიძლია. ჩვენთვის საქოვი რაც იყოს ის გამო



ჩ უ ვ ა შ ე ბ ი

რესერვის სასედმწიფოში მჩაგალი სხვა და-სხვა ტომის ჩალხი ცხოვრებს, სხვა-და-სხვა ენაზე მოღამარეობინ. იმათში მთნეოლის ტომს ადგილის სიკრიო და სიმრავლით მეორე ალაგი უჭირავს. ეს მონგოლის ტომი სხვა-და-სხვა გვარებათ არის დაყოფილი. მაგალითობ ფინეფები, ჩეხონეფები კითრიზეფები, გალმუსები და მრავალი სხვა. ამათში ჩეგაშეფები თუმცა ცოტანი არიან, მაგრამ ერთ აღაგას ცხოვრებენ, მდ. კოლგის საპირას. ისინი იქნებიან თითქმის ნახევარ მიღილნამდე; სარწმუნოებით კერპითავანისმცემლები არიან, დაპარავობენ მონგოლურ კალაზე და მსხერ-დათ წირვენ თავის ღმერთებს ცხენებს. ისინი ჭამენ ცხენის ხორცს და ცეკვების მისა რძით.


ვართათ. თუ ქსენონი გაიხსნა თითონ სახლის პა-ტრიონშა მიაქიროს. მოგებაც იმათი იყოს და ზარალუც. ჩენ ახლა უნდა გადავწეროთ რა პირობით გავყიდოთ სახლი, და ან რა პირობით დაეინარისუნოთ ნადირაძე: წინათ კრებას აქვს დადგენილი შენობა უჭერელათ საჭიროა და უნდა გამოვიყიდოთ. ახლა ძევლი ვადაწყვეტილების დარღვევა არ შეგვიძლია. ჯერ ერთი, შენობას შეძენა საზოგადოებას აერთებს; მეორეც, ახლა ქსენონი გაიმართება, ის მოგვეუმს ქირას და ჩენ შენობა მუქთათ დაგვრჩება. ქსენონს ხალხი მოაწყდება და ჩენც ვაჭრიაბა გაგვიძრიელდება. გ. ტექაძე: მე რამდენათც მახსოვრების კრებას წინეთ არ დაუღვენია უჭერელათ შენობა გამოვიყიდოთ. მხოლოდ კომისია ამოირისა და ამ კომისიას დავალა გამოენახა საშუალება, თუ რა წყაროდან შეიძლება შენობის შეძენა, ან

როგორ უნდა შეეყიდა. ჩენ რამდენჯერმე მოვით-ხოვეთ იმ კომისიის დადგენილება, მაგრამ არც ერთხელ გმგებამ არ წარმოგერდინა. ვთხოვთ წა-მიკითხოთ ის დადგენილება კრებისა, რომელიც შეება შენობის შეძენას. (წაკითხულიდან აღმოჩნდა, რომ მართლა კომისია ყოფილა დანიშნული იმის გადასაწყვეტათ, თუ რა წყაროდან შეიძლება შენობის შეძენა). მე ნაირაძე მიიყინებდა ძევლი გადაწყვეტილების გაუქმება არ შეგვიძლია. კრებას არ დაუღვენია უჭერელათ უნდა შეციყიდოთ შენობაო, მხოლოდ საშუალება უძებნია. მე კიდევ ვიმეორებ, რომ ჩენ 360 მან. ძღვეა არ შეკუძლია. ვთხოვთ, ქირა დაგვიკლონ, თუ არა სხვაგან ვიქიროვთ. ხმის უმეტესობით გადაწყვეტეს შენობა კერძო პირებისთვის გადაეცათ, რომელიც ამხანაგობას თავის დანახარჯს დაუბრუნებს და სხვა მოვალეებს გაუს-

წორდება. მხოლოდ წელიწადში ამ პირთ ამხანაგობაში 6 პროცენტი უნდა აძლიოს რაოცა 360 მან. შეადგენს. მერე კრებამ ამოირჩია გამგეობის. მეორე წევრი — იროდოვნ ხოსიტოვი (ევდომეილი) და კრება დაიხურა საათის 6-ზე. წევრი.

୬୩୭

ქ. ბათომი. 29 ნოემბერს რეინის თეატრში ქ-ნ
ნ. გამოუნდა ცაგარლის მონაწილეობით წარმოდგე ინგეს ა.
ცაგარლის „ბარუჟში“ და „ბაბიასთან გამოსულება“ თავუ.
ერთსოფლისა. ელისაბედის როლს ასრულებდა ნ. გ.—ცა-
გარლისა, რეგაზისას—ბესტავაშვილი, თალიანისა—ქ-ნი



ისპანიელი ქალი.

ა. სოდორს შეიძლის, კასპიასას — ედ. საზოგადო და კო-
ტექსას — აკ. სომეტანია. საზოგადოთ ამ ბიესაზე კერც
იმას გატევით, რომ რიგიანათ ჩაითავ და კერც იმას,
რომ ცუდათ. ჩენ წინათ არ გვიხსავს ჭ-ნ გ.- ც-
გარდისა ედისაბედის როდიში, შეიძლება მას ეს როდი
ბევრჯელ ეთამაშოს და ძალის კარგითაც, მარა არ შეე-
ხება ასლანდებს მისგან ამ როდის შესრულებას, უნდა
გთქვათ მართლი, რომ კარგათ გერ დაგვისურათა ელი-
საბედი; მან ამ როდიში უფრო უბრალო მოთამაშე მო-
გზავნია, ვინებ ნიშიერი არტისტი ქადა; მაგალითათ,
ამ ადგილს, სადაც ედისაბედის და თაღიძეს სიცილი
წასგდებათ რევაზისაგან გასცარას სიპერ გამოცხადებაზე,
6. გ. ცაგარდის სიცილი რაზაც უგულო ხა — ხა — ხა
იყო, მეტი არაფერი. სშირათ, მისი დაპარაგის დაწერის
დროს პაუზებს აჟთებდა (და, საზოგადოთ, ეს ნაკლი
უკეთ მოთამაშებს ეტელოდათ), რაც წარმოდგენას
შესას და დაზათს უკარგავდა. ან, სოდორს შეიძლის
საზოგადოთ კარგათ შესრულა თავისი როდი, თუმცა
ჩენ მისგან უფრო უკეთესაო შესრულებას მოველო-
დით; ზოგიერთ მომენტებში მართლა რომ შეუდარებე-
ლი იყო, მაგ. იქ, სადაც რეგაზი დადებს თაღიძეს: მო-
მშოდლი აქედან და თაღიძე, მითხარ, თუ გამათხოვე-
ბო — ეუბნება. მან შეენიშათ იმდერა „თათ გამახინა მე
ღმერთმა“, რამაც დიდი ტაშის ცემა გამოიწერა. საზოგა-
დოთ, ასეთი ნიშიერი სცენის მოვერა, როგორიც ან. სოდორს შეიძლისა არის, ასეთ უმნიშვნელო და პატარა
როდიში გამოყვანა: ჩენ ცოდვათ მიგვჩნდა. ჩენის აზრით
მას შეენიშათ შეუძლია შესრულოს საუკეთესო როდე-
ბი საუკეთესო დრამებში. — რევაზს სასოგადოთ არა
უშევდა რა, მხრელით შეულივისებენ სშირათ ზურგი ჭრნდა,
ცოტა როდის უცოდინარობაც სელს უშლიდა. კოტეზე
ჭრს გავჩერდეთ...

„ბიძასთან გამოსუმება“ ამ ცუდათ ჩაითა. ჩენ შემთხვევა მოგვეცა რეპერიფებს დაგსწრებოდით და მო-
თამაშებით რეპერიფების უფრო კარგები იყვნ, ვინებ
თვით წარმოდგენაზე. უმთავრეს მიზეზათ ამ ბიესის ხე-
რიანათ შესრულებლობისა უნდა ჩაითავდოთ შემდეგი:
წიგნის შემდეგ საქმე გააჭირვა და როდები მსოდლოთ
ერთი დღის წინეთ დაარიგეს. როგორც კიდით, 6. გ.—
ცაგარდისას სატოს როდი ბევრჯელ შესრულებია და
შეენიშათაც, ასლა კი... კერაფერი მაინცა და მაინც...
წარმოდგენას მეტათ სიმპატიური მიზანი ჭრნდა და
ბევრი ხალხიც დასწრო, შემთხვევაც კარგი დარჩა. ამ
მხრით არ შეგვიძლია საუკედური გავუცხადოთ ბათომელ
ქართველ სასოგადოებას. შირაქით, მეტათ მადლობის
დირსი არია. წარმოდგენას გამართვა ჭ-ნ ეპენია სო-
დორაშე ასლათვის დავა. მეტისმეტი შრომა გასწია ამ სა-
ქმეზე, რისათვის დიდი მადლობის დირსია. ჩენ დიდათ
მოსარელი კართვით, რომ მისმა ამდენის შრომაში უნდა

არ ჩაითა და ასე შეენიშათ დაგვირცებენდა. კუსურა არ მოიხსენია
ჩენ ზოგიერთ „პეპლუციაგანს“ ამ წარიოსან მშრომელ
ადამიანისათვის მიეპარს და თავის შეძლებისდაგვარათ
საზოგადო სეთილ საქმისთვის სელი გამოედოს. მდლო-
ბის ღიასწინა არიან აგრეთვე დავ. კლდია მეოდი, ისილორე
მამაშეილი და იფლანინე გოგოლაშეილი, რომელმაც დიდი
შრომა გასწიეს ამ საქმისათვის...

X.

ს ა ზ ლ კ ა რ ა კ ა რ ე ც

ინგლისის სარდალმა ლორდ კიტჩენინგ-
მა 20 ავგისტოს დაპყრო აფრიკის ერთი ღილი პრო-
გინცია ომდურმანი თავისი დედა-ქალაქით ხარტუ-
მით. ხოლო ახლა შეუდგა ამ ეკლურ-ქვეყნის განა-
თლებას და ეცრობის გზაზე გამოყვანას. ამ მიზნით
მან ლია წერილით მიმართა ინგლისს და თხოვს ფუ-
ლით დახმარებას. აი, რას წერს ის ამ წერილში:
„სულანი შეიცავს სამ მილიონზე მეტ მცხოვრებთ,
რომელნიც, შეიძლება ითქვას, სრულიად უსწავლე-
ლია. ცხადია, თუ რა საფრთხე შეიძლება გამოტყე-
რეს ამ მდგომარეობიდან. ამ ქამათ, უჟეველია, შეი-
ძლება სწავლა-განათლების საძირკვლი. ჩაურა და ზედ
მოელი შენობის უება. მარა თუ სწავლა-განათლე-
ბის ცენტრათ ხარტუმს ვაქცევთ, შეიძლება დაბეჯი-
ოთებითი თქვას, რომ ეს ქვეყანა გახდება პირველ გა-
ნათლებულ ძალათ მოელ აფრიკაში. და აი, ამის-
თვის მე ვითხოვ, რომ ხარტუმში დაარსდეს ახლა-
ვე ერთი უმაღლესი სასწავლებელი სარდალი გორ-
დონის სახელობაზე. სწავლება უნდა იყოს თან-და-
თანი. პირველათ უნდა ვასწავლოთ მოწინავე პირე-
ბის შეილთ, სოფლების და მაზრების მეთაუროთ. ესე-
ნი ძალიან ნიჭიერი ხალხია და ხალისიც აქეთ სწა-
ვლის. პირველ-დაწერებითი სწავლა უნდა შეიცავდეს:
კითხვას, წერას, გეოგრაფიას და ინგლისურ ენას. და
მერე თან-და-თან უფრო რთულ საგნებზე გადავლენ.
ეს თავის თავათ ცხადია, რომ ხალხის სარწმუნოებას
არ შევეხებით.“ აი, ამისთვის საჭიროა ერთი
მილიონი მანეთის მოგროვებათ. ეს პროექტი ისე
მოეწონათ, რომ ერთ კვირაში უკვე ნახევარი მი-
ლიონი მოგროვედა. ხოლო სწავლების პლანს ძა-
ლიან კრიტიკულათ შეხედეს. პრესაში ის აზრი გა-
მოითვა, რომ იქაური ხალხის განათლება უნდა წარ-
მედებეს მათ საკუთარ ენაზე (არაბულზე) და არა
ინგლისურზე. აი, რას წერს ამის შესახებ ერთი გა-
ვლენიანი გაზეთი: „... არც ერთი ხალხის განათლე-
ბა არ შეიძლება იმ ენაზე, რომელზედაც ის არ ფი-

ქრობს. და თუ მასწავლებელი ჩრდილოეთელია, ხოლო მოსწავლე სამხრეთელი იმათ იდეალს შორის ორმა ამოთხრილი. იმათი აზროვნება სხვა-და-სხვა კალაპოტში მოძრაობს, ერთს შეორის არ ესმის და ასეთი სწავლება გამოიწვევს მხოლოდ მოწაფის გონიერის დაჩლუნგებას და ზეჯ ხასიათის გათახსირებას...“ („Spektator 21 ნოემბერს“).

საცრანგეთი. ღრეიფუსის საქმე შედგა გათავების გზაზე, სამაგიეროთ პიკარის საქმე დაიწყო. ამ ეამათ საფრანგეთს პიკარი უფრო აღელვებს, ვინემ ღრეიფუსი, თუმცა ამ ორ საქმეს შორის მჭიდრო კაშირია. პოლკოვნიკი პიკარი გახლავს ღრეიფუსის საქმის სული და ვული, ის არის ერთათ ერთი სამხედრო პირი, რომელმაც შეუდრკელათ აღიარა: ღრეიფუსი უდანაშაულია და ამას საბუთებით დავამტკიცებო. აი, ასეთი სიმამაცისთვის ის განდევნეს ჯარილან, ჩამოართვეს პოლკოვნიკობა და ბოლოს ციხეშიაც დაამწყედის. მარა პიკარი უმთაერესი მოწამეა ღრეიფუსის საქმეში, იმან უნდა ილაპარაკოს ყოველივე სამსჯავროს წინაშე, ხოლო მისი ღაპარი სარდალთა საბრალებულო ოქმია, იმ სარდალთა, რომლებმაც ღრეიფუსი უმიზხვოთ დასაჯეს. და რაღა გასაკეირევლია ღენერლებს მოენდომებია, პიკარმა რომ არ ილაპარაკოს. მარა რა ნაირათ? რანაირათ და მოინდომეს იმის მაცემა სამხედრო სამართალში, ვითომ და სამხედრო საიდუმლოების გაცემისათვის. მოსამართლენი იგივე ღენერლები და მათი ამყოლ-დამყოლია. მაშასადამეპიკარის გამტყუნებენ, ყოველსავე ლირსებას ახდიან, სასჯელს გადაუწევეტენ და მერე რამდენიც უნდა, იმდენი ილაპარაკოს. ლირსებაახდილი და გაუბედურებული პირის ჩენებას ძალა და გაულენა აღარ აქვს. აი, ამიტომ პარიფის გუბერნატორმა პიკარი გადაიყვანა სამხედრო სატუსალოში და კიდევაც დანიშნა მისი გასამართლების დღე. ამ გარემოებამ შეაშეუთა საზოგადო აზრი, შეაძრწნა ადამიანური გრძნობა-გონება და ყოველი შერიდან მთაერგაბას მოთხოვეს გასამართლების გადადება მანამდი, სანამ ღრე-ფუსის საქმე გადაწყვდებოდეს. სამინისტრომ თუმცა იკრი ამ მოთხოვნილების სამართლიანობა, მარა განაცხადა: კრისტიტუციის ძალით ჩენენ, სამოქალაქი ძალის, უფლება არა გვაძეს სამხედრო საქმებში ჩაეყრინოთ და თანაც დასძინა: საკისაცაო სამსჯავროს შეუძლია ეს საქმე გადადებითას. და მართლაც ამან მოითხოვა პიკარის საქმის გადადება ღრეიფუსის საქმის გარჩევამდი. მაგ პიკარი ილაპარაკება! „კეშმარიტება გზაშია და მას ვერაუერი შეაჩერება!..“

— სენის დეპარტამენტის საბჭომ გადაწყვიტა: „პრეფექტის (გუბერნატორის) მოთხოვოს დეპარტამენტის მართვა-გამგეობაში მოხელეობის მისაღებათ

მხოლოდ ისეთი კანდიდატი იქმნან გამოცდაზე მიზანით შეებულნა, რომელთაც სწავლა მიუღიათ სამოქალაქი სასწავლებლებში და არა სასულიეროში. არც ერთ მასწავლებლებს სახელმწიფო, თუ საზოგადო სკოლისას, ნება არა აქვს სამღვდელოების სკოლებშიც ასწავლოს. უნივერსიტეტიდან უნდა განიღევონოს სასულიერო საგნების სწავლება“. ეს გადაწყვეტილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ იეზუიტ-კლერიკალები თანდათან ფეხს იციდებენ სამსახურში და თუ ასე გაგძელდა, რესპუბლიკას დეპარტონებიან და ერთ შვენერ დღეს კიდევაც გაუქმებენ.


გერმანი. გერმანის იმპერატორი იერუსალიმიდან დაბრუნდა, გახსნა რეიხსტაგის სხდომები და ჯარის და ხარჯების გამრავლება მოითხოვა...

იტალი. აი, ის წერილი, რომლის გამოქვეყნებისთვის აეტორის, ლომბარდიზოს ქალიშეილს, ციხეში დაპატიმრება მიუსაჯეს: — პირველათ აეტორი უარს ჰერცეგი იმ ბრალდებას, ვითომ უკანასკენელ არეულობათა მიზეზი სოციალისტები იყვენ. „მიზეზი არიან არა სოციალისტები, არამედ დიდი მემულენი და დიდი მრეწველნი. საქმარისი კაცმა სულ უბრალო, ყოველ დღიური ამბები გაითვალისწინოს, რომ ამაში დარწმუნდეს. შე ვიცნობ ერთ ფოსტის დამტარებელს, 17 წელწადი იმსახურა, ავათ გახდა და სამსახურიდან დაითხოვეს. ამ ნაირათ ულუქმა-პურით მოელი ოჯახი ქუჩაზე გააგდეს. ერთ ბავშვს კითხე: რატომ ორი დღა სკოლას მოცდი? იმიტომ რომ ბინა გამოვიცალეთო — მომიკო მან. ერთი წლის განმაელობაში სამჯერ უნდა გამოვიცალათ ბინა, რაღანაც ქირის გადახდა არ შეეძლოთ და სე ერთი სახლიდან მეორეში დევნიდენ.“ მრავალ ასეთ მაგალითებს შემდეგ აეტორი ამბობს: „ამ ხალხს არა-ოდეს არ გაუგონია რაიმე სოციალიზმის შესახებ, მარა ეს მათ ხელს არ უშლის, რომ უბედურათ ჩარიცხონ თავის თავი, რომ შემშილი და სიღარიბე სასოწარკვეთილებას ვრიდეს, უსამართლობას გრძნობდენ და უკეთეს ბედს ნატრობდენ. აი, მიზეზი არეულობის და ეს მიზეზი განა დარიბებმა და ლატაკებმა შეემნეს? როგორ უნდა მოეცელოდეთ, რომ დამშეული ხალხი სიმაძრეს გრძნობდეს? სიმშილი, სიღარიბე, მცირე ქირა, აი, არეულობის წინამდლევრი. სოციალისტები პირ იქით მშვიდობიანობას თესვენ, როცა ისინი ურჩევენ ბრძოლას არა ძალით, არამედ შეერთებით, ორგანიზაციით, საზოგადოებების დაარსებით... და თუ მაინც არეულობა მოხდა, ეს იმის ბრალია, რომ მუშა-ხალხი ჯერ კიდევ ვერ არის საქმაოთ შეერთებული, და თუ თქევენ ფიქრობთ არეულობის ჩაქრიბას სოციალისტების განადგურებით — ეს ისეთივე თავის მოტყუილება იქ-

ნება, როგორათაც მაგ. დამზღვევი საზოგადოება, რომელსაც ცეცხლის გაჩენა სურს მოსპოს ცეცხლის გამქრობი მანქანების დამტკრევით".

ისპანია. ამერიკასთან ომი ისპანიას ძეირათ დაუჯდა. მან ამერიკას უნდა გადაუხადოს 40 მილი-ონი მანერი და დაუთმოს ფილიპინის კუნძულები. ვისაც ჰქონდეს, იმას მიეცეს — ეს მცნება ბატონობს ყოველგან და ყველაფერში.

ბაზარი. ფუთი ჩევნებური სიმინდი ამ ეამათ ლონდონში იყიდება $67\frac{1}{2}$ კაპ.



მსურს აქ ვიყო.

00 უმც პართ ტომი ნაღველს

მასმეს,

გულს მიწამდევს, ცრემლებს მა-
ლეს,

თუმცა წელუღზე, წამლის ნაცვ-
ლა,

სასიგვედილო შესმსა მაღებს;

თუმც თავსა კერძონი ჭოჭოხეთში,

ეშმაკებით შემორტყმულსა,

კბილს მიღრუჭენენ, კუპრში მსვამენ,

მიწიწენიან სულს და გულსა —

მარა მაინც ამ გვარ გროგას

არ კცილდები, იმ მსარეში

არ მსურს ვიუთ, სად გული მეტას

თავისუფლათ ფართო მკერდში.

სადაც პართ გაცისაგან

ცრემლებს არ ღვიძის განამწარი,

სადაც ჩაგრუღო გერ შეხვდები,

სად საერთო შეება არა...

სადაც რეინის უდედ ქეშა

არ გაისმის ტენესა მოთქმა,

სად დესენა, ნერაჟება,

უშიშროთ სულის მოთქმა.

ფოგათ, რომ გავხნდა იმ შეუანას,

მოსდა აკი მანქანება,

განა ძაღუს ამ შედედარე

გულს იმ ადგილს დაწენაჟება?..

გულს შესმ. მსარით გარე-მოცულს,

დაჭოდილს და დასერილსა,

ათას რანჯევათ გამონაცადს,

ათას რამით დაფლეთილსა;

გულს, სადაც შეარს, იმ მსარეში,

მუდამ თითონ ღერიდა ცრემლსა,

ეგულება წამებული

რანჯერში რო დევენ დღეს...

განა ძაღუმს კვნესა-მოთქმის

შეჩეულსა ჩემსა სმენას,

უკრ უგდოს იმა შეუენის

ბედნებრისა სიცილ-ლენას?!

განა იქაც, ამ ცრენების

სამოაკრთში, მწარე სმები

არ მომესმის, არ გამგმირავს,

გადა გრძნობის დამწერები?

განა ძაღუმს ჩემსა თვალებს

იქაურსა სანახვზე

შეჩერდენ და დატვირენ მითა,

ტებილ-სურათის დანახვაზე?..

განა იქა მოვისვენებ?

განა გრძნობა დადუმდება?

ნუთუ წინა ტანჯულ-შეეუნის

სურათი არ დამიღება?

არა, არსად არ გავთბიგარ,

არც ცრენებით გავიქცევი.

ვიყო ამა ჭოჭოსეთში,

სანამ თეთი არ წავიქცევი.

აქ ბრძოლაა; ამ ბრძოლაში

მსურს მეც ვიყო მეომართ,

მსურს აქ შესმში ეწდოს გული,

რო გადიოჭეს მძღე კლდე-სულათ.

და ის მსარე სანატრელი,

უოელ სულს და გულს რო არგებს,

მოახლოვდეს აქ მოვიდეს,

ამ მსარეში ჩამოსახლდეს!..

გ. გოგოლები.

ჩვენი სახიობა.

რუსთაველი თხხმოქმედებაზ დონი,
თხზულება გ. მესხისა.

აყალ-მაყალი ცოლქმარ შუა, გოდა
კილ კრი მოქმედებათ.

ეს არ პიესა იყო ვ დეკემბერს დადგმული ქარ-
თულ სცენაზე ქალბატონ კარგარეთელის საბენეფ-
სოთ. ჩევეულებრივათ ქართული საზოგადოება ციტა
დაესწოო. საჩუქრებიკ მიართვეს, რასაკიორელია,
ზე ათერი ქართული სალარებისა.

"რუსთაველი", დრამა ჩვენ უკევ დაწერილებით
გვერდა გარჩეული "კვალში". ამ ეამათ მხოლოდ
მოკლეთ მოვიყენეთ იმ წყაროს, საიდანაც იგი გაუ-
მოუქართულებია ბ-ნ კ. მესხს.

არის ნემცურ ენაზე მიხაილ ბერისაგან და ჰე-
ინჩის ლაუბესავან ტრალედით დაწერილი სამწუხა-
რო ისტორია შესანიშნავის დანის მინისტრის სტრუ-
ენზესი, რომელიც ფრიდრიხ მეორეს შემდეგ მეორე
ისტორიულ პირათ ჩაითვლება მეორამეტე საუკუ-
ნეში.

იოსებ სტრუნჩე (1737—1772წ.) იყო კარის
დანიის მეურნალი პეფის, ქრისტიანე მეშვიდია. იმან
ერთათ მეფესთან შემიარა ჭაბუკაბის დროს მთვლი
ექტოპა, ზედმიწევნით გაცნო ვერმანის, იტალია,
საფრანგეთის და ინგლისის წეს წყობილება. იყო დიდი
განვითარებული კაცი თავის დროისა და გატაცებული
კაცობრიობის სიკეთისათვის. იოსებ სტრუნჩემ შეა-
ყვარა თავი მეფეს და მის ნიჭიერ მეულეს კაროლინა-
მატილდას. რამდენათაც მეფე ქ' ისტიანე მეშვიდე იყო
სულით და ხორცით სუსტა, იმდენათ დედოფალი
კაროლინა-მატილდა იყო მანე, გონიერით მაღალი და
ძველის გულისთვის თავდადებული. მეფესა და დე-
დოფალს არ ჰქონდათ ერთმანეთში კარგი განწყობა-
ლება. სტრუნჩემ შეარიგა ისინი და ამ-თ მოიპოვა
ორიენტ პატიისცემა. დედოფალმა შენიშნა სტრუნ-
ჭეს მაღალი ჰქონა, მტკიცე ხასიათი და ქვეყნის გულ-
შემატეკიცრობა. იუ, ის ეძებდა ამისთანა კაცს მან
დაიანლოვა სტრუნჩე და ჩააბარა მემკეიდრის აღზრ-
და. მეფემ, როგორც სულით და ხორცით სუსტმა
კაცმა, სრულიად დაანება თავი სახელმწიფოს მართ-
ვას და გადასცა თავისი მოვალეობა ნიჭიერ დედო-
ფალს. კაროლინა-მატილდამ ისარგებლა ამ შემთხვევ-
ვით, მოუწოდა სტრუნჩე პირველ მინის ფრათ და
სრული უფლება მისცა მას, რომ ქვეყნის სასარგებ-
ლო ცვლილებები მოეხდინა. სტრუნჩემ მიბაძა პრუ-
სიის კაროლის ფრიდრიხ დიდს და დაიწყო სასტიკი
ბრძოლა თავადობის წინააღმდეგ. მასი შინაური ცვ-
ლილებები იყო დამყარებული თავისნება არისტო-
კრატიის ფრთების შეკეცაზე, თავისუფალი წეს-წყო-
ბილების დამკეიდრებაზე და ხალხის კეთილმდგომა-
რეობისთვის ზრუნვაზე. იმან დედოფლის ნებით გა-
მოსცა ბრძანება, რომ ყმები განთავსუფლებულიყვენ
დანიის სამეფოში, სალუცელოების უფლება შეზღუ-
დულიყო, გამრავლებულიყო სკოლები, ფურნა-ლ-
გაზეთებს თავისუფლება მიცემოდა, მოშლილიყო
სამართლები ტანჯვა-წმები, და დამკეიდრებულიყო
უმაღლესი სწავლა-განათლება, ამას გრძელა მან შემო-
ილო ახალი წესი, რომ სახელმწიფო სამსახური მემ-
კეიდრებით არ ყოფილიყო თავადებზე გაცემული.
ისინი უნდა ამორჩეულიყვენ და უნიჭიერეს კაცებს
მინდობოდა ქვეყნის მართვა-გამგება. ამისთანა წეს-
წყობილებამ განხე გაუყენა სტრუნჩეს სალუცელო-ე-
ბა, თავადობა და უნიჭო სახელმწიფო მოხელეები.

ცინი შეერთდენ, შეიოქვენ დედოფლისა და სუზან-
ენზეს წინააღმდეგ, შეწამეს სტრუენზე', დელოფლის
სუკარული და ხელი მ-იაწერნენ მეცეს მის დატყუ-
ვებაზე და სიკვდილით დასჯაზე.

როგორც შენიშვნაედა მკათხველი, ის, ეს კე-
თილშობილური მიღრეკილებაზი სტრუქტურის მიაჩი-
ნა რუსთველს ბ-ნ კატე მესხმა და კაროლინა-მა-
ტილდას მავრერათ სცენაზე გამოიყეანა თამარ დე-
ლოფალი.

კ. მესხის თხზულება „შოთა რუსთაველი“ კან-
გი ენით და მარჯვე ლექსიდოთ არის დაწერილი, მხო-
ლოთ აისთანა ისტორიული პიესები, სამწერებროთ,
ჩვენ ღარიბ სცენას არ შეუძლია შესაფერი აკაესუ-
არით მორთოს.

მაგალითათ თამარ მეფე უსეფე-წულ ებოთ და
უსეფე ქალებოთ როგორ შეძლება, რომ დაიღვას.
ამისთანა პისებს უნდა ჭრილარი ტანცმულობა, დი-
დებული მიხერა-მოხერა, სამეფო ეტიკეტი, ანუ რო-
გორც ჩევნებულათ იტეკინ, დარბაზიბა და ეს ყვე-
ლაფერი აკლია ჩენენ ღარიბს სცენას და მის მსახი-
ობთა გუნდს. კარგათ ითამაშა რუსთველის როლი
კ მესხმა, თვითონ ბენეფიციანტიც არ იყო უჩინვე,
ასე გასინჯე ნამდევილი ბუნებრივი კრძობიერებაც კი
შეენიშვნეთ იმას, როცა თავის სიჩმარს მოუთხრობდა
რუსთველს. ბ ნ გუნდას კარგი გრიმი ჰქონდა და
შესაფერი მიხერა მოხერაც, შხოლოთ ერთფეროვანი
დეკლამაცია მისი აფუქებდა შთაბეჭდალებას. ეს უფ-
რო გმისგამო მოუღიოდა, რომ თავის როლი არ
იკოდა.

სასაკილო იყო ზექარია სპასალარი თავის დაფ. ლეთილი ტანსაცმელით და კულა ხმალით. დიდებულ ზექარია სპასალარს ჩეკი ასე ტაკი-მასხარულათ ვერ წარმოედგენთ. სიმპატიურათ შესარულა ეფ. მესხმა თარიარის როლი. მაღლობა ღმერთს, იმისთვის მარც ეშვენეთ შესაფერი ტანსაცმელი.

„აყალმაყალმა ცოლქმარ შუა“ ვერ ჩაიარა რი-
გიანათ და ამის მიზეზი უნდა იყოს თვით ვოდე-
ვილის უშინაარსობა და კარგარეთელის უმარილო-
თამაში. ბევრს მაყურებელს თამაშის დროს კი-
დეც მიეთვლიმათ. მარადებული.

წერილები რედაქციის მიმართ.

1

რამდენათაც გიცით. ბ. ფალავა თავის სიტყვაში სხვათა შორის იმას უტკიცის და მსაჯულებს, რომ დადათ სრწმუნო არ არის ამ თან სტუდენტთა ჩენება, რომელიც მოწმეებათ იუგინ ამ საქმეში. ამის საბუთათ მოწევდა ის მოსაზრება, რომ ისინი (კს თან სტუდენტი) ეპუთვანის იმ ჯგუფს : საჯვაჭდათ, რომელიც სიტყვით და მოქმედებითაც დავინდენ ბ. ეფთანის და მის მოდეწეობას. კს ჯგუფით, განმარტა ბ. კერძომა, არა ერთხელ შეკრებილ, რათა რამე ბ. ეფთანის საწინააღმდეგო ზომა მიეღო; იმავე ჯგუფის წევლობით არ მოხდა მომხივან-მომასუსის მორიგებათ და სხ. ამიტომაც ამ საქმეში უფრო საუკადღებოა და უფრო დაცვულია „სტოროვს“ წერეთლის, კიდევ იმ მოწმე-სტუდენტებს, რომელიც პირუთების და სრული სისწორით კარ აჩვენებდნენ საქმის ვათარებას, როგორც დაინტერესებული ჰირნიო.

თუ რამდენათ მართლად ბ. სექტანტის შეხედულება იმ თან ზემოასენებულ სტუდენტთა და „სტოროვი“ წერეთლის ჩენებაზე,—კს სედ სხვა საგანია, რომლის გარკვევას ჩენ არ მართვისათ, რადგან ამას არც არა-კითარი კაშმირი აქვს აღირებდ კითხვასთან და ამას არც არავინ გვიჩითხება.

P. S. უმოსილესათ კოსოვო „ივერიას“ რედაქტორის გადაბეჭდოს კს წერილი.

დ. მდივანი.

ს. გვირაშვილი.

გრ. გველესანი.

ანტ. გელაზიროვი.

II

უმოსილესათ კოსოვო, დაუთმილო ადგილი თქვენი გაზუსის უმასლობელეს ნომერში ამ მცირე შენიშვნას:

საშინალო მიერთოს, რათ დაუინტერესებია ასე უცომთო სტუდენტი გ. ღოღობერიძე ქუთაისელი კექილის აზრის სტუდენტობის შესახებ. ამ კითხვის აზრის საინტერესო ის კითხვა გარემო გ. ღოღობერიძისა? რას წარმოადგინს ასეთს ბ. ფალავა, რომ მას რამდენიმე ათასი კერძოს მანძილზე ერთხებან, რას ფიქრობთ სტუდენტობაზე? თუ გ. ღოღობერიძე პირადათ იური, დაანტერესებული ამ კითხვით, მას შეძლო კერძო წერილით მიერთოს ბ. ფალავასთვის და ისიც, დაწმუნებული კართ, გააცემინება თავის აზრს; და თუ ჩენ პატივიცუმულ ამსახავის თავისა თავი სტუდენტობის წარმომადგენელთ მიაჩნია და ისე კერძოს ქუთაისელ ციცირინს, მაშინ შეტყდორია; ის სტუდენტობის არც წარმომადგენელია და არც მათი აზრის გამომხატველი. მართლაც და, რამდენათ უნდა დაეცის და დაკვირვებას სტუდენტობა, რომ ის კითხვა ქუთაისელი კაშილის აზრის კერძოს მიერთოს შეუდებელის?

ასეთი დისენა სტუდენტებს არც ერთი ფილასო-

ფოსისა და გენისისთვისაც კი არ მოუნიჭება და არ შეეითხება: რა აზრის სართ ჩენებისა; ასეთი კითხვით მხრიდან ისეთ პირს მიმართოვთ, რომელის აზრისაც დიდადათ აუსახულებენ და განა ეს გვითქმის ფალავას შესასება? ჩენ თუ მაგისტრების აზრის გამოვეციდეთ, ძლიერ შ. რ. წავალით, და კოსტას ისეგვე გ. ღოღობერიძის დაცვულობით ეს სედლის. სტუდენტობის ისე ანტერესებს ბ. ფალავას აზრი, როგორც „მარმანდელი თოვლი“, რესული ანდაზისა არ იქნას. ამ ასეთი გულებურებილია შეიძლება, როგორც ჩენი კოლეგა იჩენს? ნუთუ, რომელიმე შენიშვნით მკითხველი „გრადის“ კორესპონდენციით იმას წარმოიდგინდა, რომ ბ. ფალავამ პარდალი გამოაცხადა, სტუდენტები ნიდობის ღირსა არ არანი. არა, მე ნათლად მაქვს წარმოდგენილი, რომ ის უფრო კირთ ნია. და უკავე იღვიძებოდა თავის სირევაში; ის იტელა: ბ. ბ. გვითას შევიდის და ჯაერლის ჩენება არ არის სანდო, ისინი სტუდენტები არიან და გადაიშეიღის მსარეს იქერნი; სულ სხვა წერეთლი. ის პატრიოტის გარეთ დგას და მართლებს ამბობს. ამის თქმის არც ნისტუდენტობის დაუშფილ და არც მკილის სტუდენტობა ისე კაცს, რომელმც ისიც კი დაწამა ქუთაისის ასედაზედობას, რომ კითხან-გალიაშვილის „სკანდალი“ ამათი წინა განზრა-სულების შედეგათ და რადც კი მოუტენც „გამოუტენც“ კი მოიხსენია. მე გონია, „გვედაის“ კორესპონდენციის მხრიდან ფარავას სიტუაციის შინაარსი გადმოგვცა და აზრათაც არ-ქრონია მათი სტუდენტობის დაგრენა; ხოლო, კანც კითხვა იცის და წაკითხების გაგებაც შეება, ის მეტ აზრს გერ გამოიტანდა ბ. ფალავას სტუდენტობის თუ მე არ კენდრი იგანეს, პეტრეს, გრაგიას, იმიტომ რომ ისინი სტუდენტები არიან, მაშ სტუდენტობა დიდი მანგი უნდა იყოს ჩემის აზრით და არც სტუდენტების ნიდობა მაქვს, რასაკეთოველია. ეს ერთა-ერთი შესძლებელი დასკვნას ფარავას სიტუაციიდან. ას შემა აქ ან ნისტუდენტობის აზრია, ამ მკილის სტუდენტობა, რამდენი დიპლომისათ დღეს ჩენში ისეთი, რომ თავის დიპლომისაც და სიკასისაც უყურებს მხრიდან თფილი ადგილის მოსა-მოებელ დარაღათ, უმაღლეს სასწავლებელშიც ამ მიზნით წამოსულა.

გ. ღოღობერიძეს კი დაგრძენია მხრიდან გუთხარი: „Si tacuisses, mansisses!“

მოსკოვი, 22 ნოემბერი.

სტუდ. წიგთ ელიაზ

თოვეის სროლა

III.

(დასასრული)

2 ავიდა ერთი კეირა. ჩენტრულს სოფელში გავარდა ხმა, რომ კიკოლის ფასია თოვეით დაუკრიაო. შეიქანა სოფლით განვაში, ყველას უნდოდა ნამდეი-

*) იხ. რბალი: № 49.

ლი შეეტყო; მაგრამ რამდენიც კი მივიღა ფასიასას ამ-ბის შესატყობათ, ყევლა უკან დაბრუნდა დაუქმაყო-ფილებელი და დაიჭირებული. მართალი ვერა შეი-ტყვესრა, რადგან ტასია გამაცადინებელი ცო, რომ არაფერი მაგისთანა არ შეენიშნაა იმისთვის. მეზო-ბელი რომ მიეროდა მასთან, ტასია ყოველთვის მხიარულათ მიეგვებოდა, ვასომც აქ არავერია. რომ ჰქითხავდენ, ფასია სად ბძანდებაო, ტასია მა-შინვე მიაგებებდა: „ეს ერთი კვირაა, ჩემი ფასია გო-მარეთს გაეისტუმრე ერთი უღელი ხარის საყიდლა-თაო. ხარები დაგვიძერდენ, გვნაცვალე, და მოგეხსე-ნებათ, ამ შემოდგომაზე ჭირნახულია შემოსაზიდავი. ბებერი ხარების ამარა ვერ დარჩებით. იქაურ საქო-ნელს კარგი ჯიშისას მოგახსენებენ“ — გააბამდა ის დარბასილათ საუბარს. მეზობელს, თუ მამა კაცი იქ-ნებოდა, აიგანზე მიიღებდა, თუ დედაკაცი, შინ სახლ-ში შეუძლებოდა, პალატის ზემოთ რომ ფიცრული იდგა. კარგათ იცოდა, რომ დასაზერავათ მოდიოდენ, და პირეელათ თეითონ ტასია დაატარებდა სამთავალ სახლს; ყოველგან სათითაოთ შეიყვნდა, რომ ეჭვი რამე არ აელოთ და არ ეფიქრებიათ, ფასიას გვიმა-ლავნო. ზოგიერთი სიმართლის გულისთვის პალა-ტში სადგომების მიმოხილვასაც კი ფიქრობდა, მაგ-რამ პალატის კარები ყოველთვის დარჩული იყო და, აბა, ვინ იქნებოდა ისეთი უზრდელი, რომ პატ-რონის დაუკითხავათ მიონდომებდა კარების რაზის ჩამოგდებას; თუმცა ბებერი იმ სოფლის მცხოვრებთა-განი იმავე დროს დარწმუნებული იყვნენ, რომ მძიმეთ დაჭრილი ფასია ქვეით პალატში იშვა. ვინდაც სოფ-ლის დედა-კაცი, ჭრილობის მომრჩენი, მოჰყავდათ ხოლმე იმასთან. მაგრამ თეითონ დედაკაცს რომ ჰქი-თხავდენ, უარს ამბობდა, წრეულ ფასია თვალითაც არ დამინახავს. ამ სახით იქ რომ ბეჯით ვერა შეი-ტყვეს, ახლა კიკოლას ოჯახს დაუწერილმანდენ. იქ უფრო ქალებს გზანიდენ, რადგან მამა-კაცები კი-კოლას არაფრათ წყალობდენ, პურაძირობის სახელი ჰქონდა შეთქმული. „იმასთან რაგორ მივალო, ანწ-ლით შეფერილი ლეინით გავეხეთქავს და დალორი-ლი ბებერი ხარის ხორცის მეტს არას მოგვიტანსო“. ამ ძიებაში და კვლევაში გავიდა ორი კვირა. კიკო-ლამ და მისმა ოჯახმა გული დაიმშეიდეს, რომ ფა-სიას სიკვდილით არა უშავდარა, მხოლოთ მძიმეთ დაჭრილი იყო და სოფლის დედა-კაცი წამლობდა. ის ღამით მოდიოდა ხოლმე ფასიას ოჯახში, როცა ყველას ეძინა და დილით უთონით გაილალებოდა, რომ არაეს დაენახა. ეს ამბები კიკოლას ვერ გამო-აპარეს, რადგან ერთი რომ კიკოლა ყველა უფრო ახლო ესახეთა ფასია ნაძრახიშვილთან და, მეორე, თეით კიკოლასაც ბეჯითათ ჰქონდა მიკვ-

ლეული, სად იწვა დაჭრილი ფასია. ამის გულისხმულ-ის ერთხელ ღამით გაუდარავდა ფასიას იმის პალატს უკან და დილის რეფრაქტიდი არ მაცილებია. იმან შე-ნიშნა ძალიან კარგათ, ჭრილობის მოწამლე სოფლის დედა-კაცი რომ გადმოვიდა ფასიას ეზოში და ის და ტასია როგორ შევიდენ ავათმყოფთან; დედა-კაცმა შეხსნა იარა, გაუკეთა ახალი წამლები და მერე ჭრი-ლობა ისევ შეუხევია. ამ დროს ფასიამ ბერები იკვნე-სა, რადგან შეხსნაზე და ახალი ბალაზის წამლების დადგებაზე იარა საშინლათ აეწვა. კიკოლა ყოველ იმის „ვაი ვაის“ ძახილზე ასე დაატანდა ხოლმე; „ვაი შენ და არ გადარჩენაო“! ამსახით კიკოლმა და ანუსამ ზედმიწევნით იცოდენ ფასიას ამბავი, მაგრამ ისინიც ისე ფარავდენ ამ ამბავს, როგორც თეით ფასიას სახლობა, ამიტომ რომ ჯერ კიდევ დარ-წმუნებული არ იყენ, მორჩებოდა თუ არა ეს ღამის მელა.

ერთ ღლეს მთელი ჩხერულას სოფელი შეიძრა ახალი ამბით: „საწყალი ფასია გომარეთიდან ჯალა-ბრით მოუყვანიათო, ბარძაყზე ბეღნერი *) გამოსვ-დ ია. უელუც მოზერები უყილნია და ფულიც წამ-ლობაში შემოხარევია“. ამ ამბის მოუკნა საფელ-ში და მნახველების დაძრია ფასიას ოჯახისკენ ერთი იყო. დღეში ოც კაცს რომ ენახა და გამოეკითხა მისი ამბავი, ცოტა იყო. ახლა ფასია იშვა ზევით ღლის დარბაზში, ხან-და-ხან კილეც წამლობებიდა და ჯოხის შემწეობით გაიღლ-გამოიყელიდა თე-თ დარ-ბაზში. მხოლოთ კიკოლა არ ეკარებოდა მას უფრო სხეის დასაჩახავთ, რადგან ყველა იცოდა, რომ ფა-სია და კიკოლა ერთმანეთში შემღურებული იყვნ. მოლოს კიკოლას მეზობლებმაც ძალა დაატანეს და თეითონაც მოისურეა ფასიასთან შეერიგება. ერთ ღლეს ის დილა აღრიანათ გადაიდა ფასიას ეზოში. ავათ-მყოფი აიგანზე გამოსულიყო, იქ საერთელზე იჯდა, ჯოხი წინ ებიჯგა და მტკიცანი ფეხი განზე გაეწედი-ნა. კიკოლა ავიდა კაბეზე და დარბასილურათ მიეკვ-ბა ფასიას: „შენი მძიმე ავათმყოფობა შევიწყვე და ევლარ მოეითმინე, რომ არ მენახე, თუმცა კი მიმარ-თებს შენიან სანდურავი, იმხელა ღორი შემიჭამეო, უთხრა სათნიანი ხმრო კიკოლამ. როგორც კი და-ნახა კიკოლა, ავათმყოფს მაშინე ფერი ეცვალა. მი-სი ძალიან გმხდარი და დალმეჭილი სახე კიდევ უფ-რო დაიმშეუწინა სიმძულეარისაგან, თუმცა იმავე დროს ფასია ცდილობდა, არ შეენიშვნინებინა. იმან სახე კვერდზე მოილო და კვნესით წაულაპარაკა:

— მადლობელი ფარ, ჩემო კიკოლა, ნახეისათვის. ვისაც შენი ღორი დაეკლას, ის ნუ გადარჩინოს

*) „ბეჭდიერს“ დასივლეთის საქართველოში საშინ-იარას ეძახიან.

ღვერთმა (ამას მართალს ამბობდა ფასია. მართლაც თვითონ კი არ დაუკლავს, თავის მოჯამავირეს დაკულევინა). მაგას რავა ბრძანებ, ჩემო კიკოლა, მავისთან საქმეს როგორ ვიზამდი. ეგ რა ფიქრში მოგივიდათ?..

— რა დაგემართა? სწორეთ ძალიან ავათ ყოფილიარ. რა მიზეზით გახდი ავათ? — ჰკითხა ეშმაკურათ კიკოლამ.

— იმისთანა თქვენს მტერს, მე დამემართა. როგორც ჩავედი გომარეთს, მაშინვე ეს ბარძაყი გამისივდა და მესამე დღეს ბედნიერი გამომება ზედ — მიუთით ფასიამ მტკიცეან ბარძაყზე.

— მაინც მიჩვენეთ, რა ადგილს გამოგებათ — კიდევ ეშმაკურათ ჩაჭითხა კიკოლამ.

— აი, აქ ზედ შეუა ძვალზე. ისე შემაუხა, რომ კინალამ მომქლა. ძლიერ მოვაწიფ შინ.

— პაპ! პაპ! პაპ! — შეიცხადა პ-რმოონეობით კიკოლამ. — კიდევ ბედი დაგმართნია, ჩემი ფასია, რომ ევ ბედნიერი ცოტა ზევით არ გამოგბია, თვარა ველაზ გადურჩებოდი.

ფასიამ იგრძნო კიკოლას დაცინების კილო და სიბრაზისაგან სახე დაეღმეჭა. იმან ამოიოხერა საოცრათ, მაგრამ ეს ამოიხერა უფრო მუქარას ჰყავდა, ვიდრე მწუხარების გამოთქმას.

ამ საუბარს შემდევ კიკოლა ცოტა ხანს კადევ დარჩა აეთმუოფთან ხმაგაცენდილი; იმას უნდებურათ სიცილი ეპარებოდა სახეზე და რომ არ შეენიშნათ, როგორც შეეძლო, ისე მოუჭირა კბილები ენას. მერე გამოემშეიდგა ავათმყოფს და წავიდა.

ფასიამ მრისხან თვალები გააყოლა თავის მტერს და თითქოს ჩუმი სიცილი შემოესმაო, გულგახეთ-ქილმა წაიღულუნა: „ისე ჩემშა მტერმა გაიცინოს, როგორც მე შენ გაგაცინო. მაცალე, ერთი დავლევ ფეხზე!..“

ამას შემდევ ფასია მალე მორჩა; ამბობდენ, დედაკაცმა ტყეია ბარძაყიდან ამიულო და იმიტომ გათვისუფლდა ასე მალეო.

ერთხელ შეუა ღმისას საშინელმა ამბავმა შეძრა მთელი სოფელი ჩერეულა. ხალხი ყოველ მხრიდან ყვირილით მოზიდოდა: „ცეცხლი“, „ცეცხლი!..“ მართლაც მთელი ჩერეულა შეუაღმეში დღესავით განათებული ცუმ. კიკოლას ეზოდან საოცრი ხვა მოისმოდა: „არიქა, გვიშველეთ, ვინ ხართ ქრისტიანიო!“ მართლაც მისი სახლი, ბელელი, ბოსელი და სა' იმიდე ერთბაშათ იყვენ ალში ჩამდგარი. კიდევ ბედი დამართათ ცოლქმას, რომ დროზე გამოასწრეს და ცეცხლში არ გამოიწევნ. იმათ ბარბაზე აღარც შენობა და აღარც ჭრინახული ერთა მარცვალი აღარ დარჩენილა. მეორე დღეს ხმა

გავარდა, რომ ეს ფასია ნაძრახიშეილის საქმეა და უისთავებმა მაშინევ მოიკითხეს ის ოჯახში, მაგრამ ტასია ასე თქვა: „ფასია ბატონო, ეს ერთი კურაა, ქალაქს გიახლათ ბაბბის საყიდლათაო!“.

ბ. წერეთელი.

ქართველნი მწერალნი

ასლათ დაიბეჭდა ფოტორტიიში სურათი ქართველი მწერლებისა.

იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში თითო-ეული სურათი 75 კაპ. შემოსავალი უულის 10% გაღაიდება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაერ-ცელებელ საზოგადოების სასარგებლოთ.

აღრესი: თურქისი, რომელის ფოტოგრაფია.

(5—1)

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნა-ხატებიანი გაზეთი

„პ ვ ა ლ ი“

გამოვა 1899 წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე.

იმავე პროცედურამით და იმავე თანამშრომლებით, როგორც 1898 წელს.

გაზეთი წლიურათ ღირს გაუგზავნელათ 7 მან-თათ, ხოლო გაგზავნით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუგზავნელათ 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთ. სამი თვით გაუგზავნელათ 2 მანეთ., გაგზავნით 2 გ. 50 კ. ითო ნომერი სამ შატრათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნინ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „წერა-კითხების საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая ул. д. ვ. зем. банка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტელერიის ქუჩა № 5, კორპუსის ახლო.

ფოსტის აღრესი: თიფლის რედაქცია „კვალი“.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ. წერეთელისა.